GROUPE ATLANTIC

Atlantic Georgia

30 სექტემბერი 2025

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურს

მოგესალმებით,

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-7 მუხლის 1-ლი და მე-12 პუნქტების, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სდპ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომლის წარდგენაც სამსახურისთვის ევალებათ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. აღნიშნული სუბიექტები ვალდებული არიან ასევე, მოამზადონ და კანონით დადგენილ ვადაში სამსახურს წარუდგინონ მმართველობის (მათ შორის კონსოლიდირებული) ანგარიშგება.

მმობელი საწარმო, რომელიც კანონის თანახმად ვალდებულია წარადგინოს აუდიტირებული ინდივიდუალური და აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე ინდივიდუალური და კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება, უფლებამოსილია წარადგინოს მხოლოდ ერთი აუდიტირებული ფინანსური და შესაბამისი მმართველობითი ანგარიშგება, თუ მისი ყველა შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ და ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

მოგახსენებთ რომ, ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული სარეკომენდაციო მითითების გათვალისწინებით, შპს „ატლანტიკ საქართველო“-ს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებები წარმოდგენილია saras.gov.ge -ს პორტალზე.

2024 წლის საანგარიშო პერიოდში, შპს „ატლანტიკ საქართველო“ ფლობს 100%-იანი წილით შვილობილ კომპანიას შპს „ფრიგაზს“, რომლის მთლიანი აქტივები წარმოადგენს შპს „ატლანტიკ საქართველო“-ს მთლიანი აქტივების 1%-ზე ნაკლებს, ხოლო ვალდებულებები არ აქვს. წლის განმავლობაში შპს „ფრიგაზმა“ აღრიცხა წმინდა ზარალი, რაც კომპანიის მთლიანი წმინდა ზარალის არაარსებითი ნაწილია. კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს შორის, კერძოდ მთლიანი აქტივების, მთლიანი ვალდებულების და წმინდა მოგების სხვაობა არის არაარსებითი, შესაბამისად შპს „ატლანტიკ საქართველო“-მ წარადგინა 2024 წლის საანგარიშო პერიოდის მხოლოდ ინდივიდუალური აუდიტირებული ფინანსური და შესაბამისი მმართველობითი ანგარიშგება.

პატივისცემით,

ლორან რემი კოტინი
დირექტორი

GROUPE ATLANTIC

Atlantic Georgia

ვადასტურებ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია თანხვედრაშია ჩვენს მიერ შპს „ატლანტიკ საქართველოს“ 2024 წლის ფინანასური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას მოპოვებულ ინფორმაციასთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)
შპს ნექსია ჯორჯია (SARAS-F-550338)

2025 წლის 30 სექტემბერი

თბილისი, საქართველო